



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 11



2013 წლის 22 იანვარი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის დამტკიცების შესახებ .

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თანდართული პროგრამა საერთო ბიუჯეტით 54 649 ლარი.
2. განკარგულება გაეფხავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

**ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების
პროგრამა .**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის N1453 განკარგულებით დევნილების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ქალაქ ხაშურში რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე „ყოფილი საავადმყოფოს“ შენობის რეაბილიტაციას შემდგომში დევნილთა ოჯახების შესახლების მიზნით.

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა 54 649 ლარი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა ხარჯების გათვალისწინებით განხორციელდება ქ. ხაშურში რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე „ყოფილი საავადმყოფოს“ შენობის გაზიფიცირების სამუშაოები.

მუხლი 5. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა დაიწყება 2013 წლის იანვარში და დასრულდება 2013 წლის 1 აპრილამდე.